



საქართველოს
სახალხო დამცველი

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა თავშესაფრების მონიტორინგის შედეგები



2015 წელი

www.ombudsman.ge

შესავალი

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) მონობის თანამედროვე ფორმა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა. ყოველწლიურად მთელ მსოფლიოში ტრეფიკინგის მსხვერპლი მილიონობით ადამიანი ხდება. შრომით ტრეფიკინგთან ერთად, აქტუალურია ქალებით ვაჭრობის ისეთი ფორმები, როგორცაა სექსტრეფიკინგი.


2003 წლიდან, საქართველოში ტრეფიკინგი სისხლის სამართლის კოდექსით დასჯადი ქმედებაა;¹ შემუშავებულია კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ; ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის, მსხვერპლთა დაცვისა და დახმარებისათვის განსახორციელებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა და ინსტიტუციურ დონეზე მოქმედებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, რომელიც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ და დაზარალებულ მოსახლეობას სხვადასხვა მომსახურებას სთავაზობს. მათ შორისაა: ცხელი ხაზი, იურიდიული კონსულტაცია, სამედიცინო მომსახურება, თავშესაფრით უზრუნველყოფა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა შესახებ 2014 წლის სტატისტიკური მონაცემები² ასე გამოიყურება:

¹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი მუხლი 143¹ და 143²;

² ინფორმაცია ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: <

<http://www.atipfund.gov.ge/images/stories/pdf/statistika/2014/statistika2.pdf> >

2014 წლის სტატისტიკა



საქართველოს სახალხო დამცველის საქმიანობა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ხორციელდება. საქართველოს სახალხო დამცველის 2013 და 2014 წლების საპარლამენტო ანგარიშებში განხილულია ტრეფიკინგის პრობლემა გენდერული ნიშნით ძალადობის ჭრილში. კერძოდ, წარმოდგენილია ინფორმაცია სექსტრეფიკინგის პრობლემის და მისი პრევენციის თუ მსხვერპლთა დაცვისთვის აუცილებელ ნაბიჯებზე.

2015 წელს, საქმიანობის არეალის გაფართოების მიზნით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერული თანასწორობის დეპარტამენტმა, კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფარი) მონიტორინგი განახორციელა.

მონიტორინგი თბილისისა და ბათუმის თავშესაფრებში ჩატარდა და მიზნად ისახავდა სერვისის მიწოდების ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას; ასევე, ბენეფიციართა საჭიროებების შეფასებას.

მონიტორინგის მეთოდოლოგია

თავშესაფრის ადმინისტრაციისგან ზოგადი ინფორმაციის მისაღებად, შედგენილ იქნა სპეციალური გამოკითხვის ფურცელი. გასაუბრების შედეგად, გამოიკვეთა ის ხარვეზები თუ დადებითი ასპექტები, რომელიც თავს შეიძლება მართვის პროცესში იჩენდეს. ასევე, მოხდა

საცხოვრებლის ვიზუალური დათვალიერება და სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება.

ბენეფიციართა გამოსაკითხად გამოყენებულ იქნა ნახევრად დახურული ტიპის კითხვარები. მონიტორინგისას გამოკითხულ იქნა იმ დროისათვის თავშესაფრით მოსარგებლე ყველა (2) პირი. ასევე, თბილისისა და ბათუმის თავშესაფრების ხელმძღვანელი პირები.

მონაცემების სრულყოფილად მოპოვების მიზნით, დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა მოხდა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდიდან, რომლის დაქვემდებარებულ სტრუქტურას წარმოადგენენ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები.

ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრების სტრუქტურა

საქართველოში ფუნქციონირებს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა ორი თავშესაფარი: თბილისსა და ბათუმში. ისინი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის სტრუქტურული ერთეულებია და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება.

თავშესაფარი არის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების მიზნით შექმნილი მომსახურების დაწესებულება, რომელიც უზრუნველყოფს ბენეფიციართა უფლებებისა და ინტერესების დაცვას. კერძოდ: ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას; ამასთან, ბენეფიციართა ნიჭის, უნარისა და პოტენციალის გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნას.

მიღება-გადინება

თავშესაფარში ბენეფიციართა მიღება ხდება პირის დაზარალებულად ცნობის საფუძველზე ან ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატუსის განმსაზღვრელი ჯგუფის მიერ პირისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების შედეგად. თავშესაფარში ცხოვრების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 თვით. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ, ხდება ბენეფიციარის მდგომარეობის შეფასება და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია, თავშესაფრის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით ვადის გაგრძელება.

თითოულ შემთხვევაზე მიღებული გადაწყვეტილება ინდივიდუალურია და მიეთითება ვადის გაგრძელების საფუძველი. აღსანიშნავია, რომ მსხვერპლის სტატუსის მინიჭება ხდება განუსაზღვრელი ვადით, რაც თავშესაფრის ადმინისტრაციას აძლევს შესაძლებლობას საჭიროებისამებრ განსაზღვრონ პირის თავშესაფარში დატოვების ხანგრძლივობა. არსებული

პრაქტიკიდან გამომდინარე, 3-თვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, თითქმის ყველა შემთხვევაში ხდება ვადის 6 თვემდე ან 1 წლამდე გაგრძელება, რაც ტრეფიკინგის დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე აიხსნება.

თავშესაფრის ადმინისტრაციის მხრიდან მსხვერპლისთვის ვადის გახანგრძლივებასთან დაკავშირებით, დასახელებულ იქნა რამდენიმე მიზეზი. კერძოდ: პირთა სამართლებრივი დავის ხანგრძლივობა. ასევე, გამოძიების პროცესში უცხო ქვეყნის მოქალაქეების დოკუმენტაციის მოწესრიგება რთულია და დროს უკავშირდება. არის შემთხვევები, როდესაც გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებელია პირის (დაზარალებულის) ადგილსამყოფელის ანონიმურად დატოვება და თავშესაფარში დარჩენა მსხვერპლის უსაფრთხოებას უკავშირდება. ასევე, ხანგრძლივია რეაბილიტაციის პროცესი.

თბილისის დაწესებულებას ერთდროულად 10 ბენეფიციარის მიღება შეუძლია, თუმცა, განსაკუთრებული საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, შესაძლებელია, მათი რიცხვი გაიზარდოს. ბათუმში კი, თავშესაფარი 10 სრულწლოვანი პირის მიღებას შეძლებს, დამოკიდებული პირებითურთ. არც ერთი მათგანი არ არის ადაპტირებული შშმ პირებისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფრები, შინაგანაწესიდან გამომდინარე, საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში, უფლებამოსილნი არიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა განთავსებაზეც. ეს, გარკვეულწილად, სირთულეებს წარმოშობს. აღნიშნულ დაწესებულებებს არ ჰყავთ საკმარისი კადრები, ვინაიდან, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს განსხვავებული რეაბილიტაციისა და სოციალიზაციის გეგმები ესაჭიროებათ. შესაბამისად, ერთდროულად ორი განსხვავებული ტიპის სერვისის მიწოდება რთულია.

2014-2015 წლის მონაცემებით, ბათუმისა და თბილისის თავშესაფრების მომსახურებით გაცილებით მეტმა ოჯახში ძალადობის მსხვერპლმა ისარგებლა, ვიდრე ტრეფიკინგის. შესაბამისად, აუცილებელია ამ მიმართულებით უფრო გაძლიერდეს თავშესაფრის მომსახურება, რაც პერსონალის, კერძოდ კი, რეაბილიტაციაზე პასუხისმგებელი პირების, ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის საქმიანობის მხარდაჭერას გულისხმობს. სტატისტიკური მონაცემები ასე გამოიყურება:

ტრეფიკინგის მსხვერპლთა სტატისტიკა (მუდმივად მოსარგებლე)	2014 წლის მონაცემები	2015 წლის მონაცემები
ქალი	5	2
კაცი	0	1
დამოკიდებული პირი	2	1

2014 წლის ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სტატისტიკა (მუდმივად მოსარგებლე)	2014 წლის მონაცემები	2015 წლის მონაცემები
ქალი	12	6
კაცი	1	0
დამოკიდებული პირი	18	16

2014 წელს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებაში ჩაირიცხა 4 სრულწლოვანი და 2 დამოკიდებული პირი. მათ შორის: 3 სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო დაზარალებულად, ხოლო ერთს მსხვერპლის სტატუსი მუდმივმოქმედმა ჯგუფმა მიანიჭა. 2015 წელს, დაწესებულებაში 2 სრულწლოვანი და ერთი დამოკიდებული პირი მიიღეს, რომელთაც სტატუსი, ასევე, მუდმივმოქმედმა ჯგუფმა მიანიჭა.

თბილისის თავშესაფარში შედარებით ხშირად ხდება იძულებითი შრომის მსხვერპლების განთავსება. თუმცა, არიან სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლებიც, ხოლო ბათუმში, თავშესაფრის მოთხოვნა გამოკვეთილად სექსტრეფიკინგის მსხვერპლთა მხრიდან ხდება. აღნიშნულ საკითხზე საქართველოს სახალხო დამცველი 2014 წლის საპარლამენტო ანგარიშშიც საუბრობდა. კერძოდ, ტურისტულ ადგილებში და მათ შორის ბათუმში განსაკუთრებით მაღალია სექსტრეფიკინგის შემთხვევები.

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად³, 2014 წელს, პირადი განცხადებით დაწესებულება 6-მა ადამიანმა დატოვა. 2 მათგანი დაბრუნდა სამშობლოში, 1 დაუბრუნდა ოჯახს და 1 გადავიდა ნათესავთან საცხოვრებლად.

მომსახურების შეფასება

შინაგანაწესის თანახმად, თავშესაფარი განთავსებულ პირებს 24 საათიან მომსახურებას უწევს; პასუხისმგებელია მათ კვებასა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ამასთან, უზრუნველყოფს ფსიქოლოგიური დახმარებით, როგორც ინდივიდუალური, ასევე ჯგუფური თერაპიით, იურიდიული დახმარებითა და საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო წარმომადგენლობით.

³ ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის წერილი #07/630 / 12.06.2015

აღსანიშნავია, რომ თბილისის თავშესაფარში არ არის გათვალისწინებული ფსიქოლოგის შტატი. შესაბამისად, მის ნაცვლად, ბენეფიციარებს ფსიქოლოგიურ მომსახურებას უწევს სოციალური მუშაკი და დაწესებულების უფროსი, რომელიც განათლებით ფსიქოლოგია. მან გასაუბრებისას აღნიშნა, რომ წარმატებით ართმევს თავს ამ ფუნქციასაც. თუმცა, ბენეფიციართა ინტერესებიდან გამომდინარე, უმჯობესი იქნება თუ დაწესებულებას დაემატება ფსიქოლოგი, რათა მომსახურებას უფრო სისტემური ხასიათი მიეცეს. ასევე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, რომ თავშესაფრის უფროსს სხვა მრავალი პასუხისმგებლობა აკისრია და მისი ამ მიმართულებით გაწეული სამუშაო ვერ იქნება საკმარისი ბენეფიციართა რეაბილიტაციის ეფექტურად წარმართვისთვის. გასათვალისწინებელია, რომ ფსიქოლოგთან საუბარი კონფიდენციალურია და შესაძლოა, განხილულ იქნას ისეთი თემები, რომელთა სხვა პირებისთვის განდობა ბენეფიციარს არ სურდეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, დირექტორი ვერ იქნება ბენეფიციართათვის სწორად შერჩეული პირი, ფსიქოლოგიური კონსულტაციის გასაწევად.

თავშესაფარი, ასევე, უზრუნველყოფს ბენეფიციართათვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო საჭიროების შემთხვევაში – თარჯიმნის მომსახურებას; იმის გათვალისწინებით, რომ თავშესაფარში ხშირად უცხო ქვეყნის მოქალაქეები ხვდებიან, საჭიროების წარმოშობის დროს ხდება შესაბამისი ენის სპეციალისტის დაქირავება.

იურიდიული მომსახურების გასაწევად და საჭიროების შემთხვევაში სასამართლო წარმომადგენლობის უზრუნველყოფის მიზნით, თავშესაფარი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდს მიმართავს.

ვინაიდან მონიტორინგის დროს თავშესაფარებში ბენეფიციართა რაოდენობა ძალიან მწირი იყო - ტრეფიკინგის ორი მსხვერპლი - მომსახურების ხარისხზე ბენეფიციართა შეფასება შეიძლება არასრული იყოს. თუმცა, განთავსებული პირები მიიჩნევენ, რომ პერსონალის დამოკიდებულება და სერვისის მათთვის კეთილსაიმედოა.

საყოფაცხოვრებო პირობები

საყოფაცხოვრებო პირობები ორივე თავშესაფარში დამაკმაყოფილებელია. დაცულია ჰიგიენური ნორმები. თბილისის თავშესაფარს აქვს 5 საცხოვრებელი ოთახი, 2 საპირფარეშო და იზოლირებული აბაზანა.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას არ აქვს სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც უნდა იყოს მოწყობილი საცხოვრებელი და განსაზღვრული მომსახურების გაწევის წესები. სტანდარტების არსებობა მნიშვნელოვანია, რათა დადგინდეს, თუ რამდენი ბენეფიციარის მიღებაა დასაშვები დაწესებულებაში, რა პირობებია აუცილებელი კეთილსაიმედო

საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად და რა დაცვის ღონისძიებები უნდა იქნას გატარებული მაცხოვრებელთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. სტანდარტების არარსებობა თვალშისაცემია იმდენად, რამდენადაც სახელმწიფო პოლიტიკა ყველა დაწესებულებისთვის გარკვეული ნორმების არსებობისკენ არის მიმართული. სტანდარტი არსებობს როგორც მცირე საოჯახო დაწესებულებებისთვის, ასევე სხვა თავშესაფრებისთვის, დღის ცენტრებისა და სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არსებულ თითქმის ყველა სადღეღამისო სერვისისთვის. ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგად, გამოვარკვით, რომ ასეთი დოკუმენტის არსებობის საჭიროებას ვერ ხედავენ და ის, გარკვეულწილად, შეზღუდავს კიდევ მათ. თუმცა, საცხოვრებელი სტანდარტები მნიშვნელოვანია ადამინის უფლებების მდგომარეობის შესამოწმებლად, რადგან დაწესებულება არ უნდა ოპერირებდეს პირადი გადაწყვეტილების ხარჯზე და არ უნდა იყოს დამოკიდებული ადმინისტრაციის კეთილ ნებაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ თავშესაფრების ეზოები არ არის კეთილმოწყობილი, არ აქვს მაღალი ღობე ან დაცვის სხვა გარანტიები, რაც თავშესაფარში მცხოვრებ პირებს (განსაკუთრებით ბავშვებს) შესაძლებლობას მისცემდა ესარგებლად ეზოთი. ტერიტორიის დაცვის საკითხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ რისკებიდან გამომდინარე, რაც პირის მსხვერპლობის ისტორიას შეიძლება უკავშირდებოდეს.

კვება

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ საკვები პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების ფონდმა მოგვაწოდა, არ გამოირჩევა მრავალფეროვნებით. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის, როგორც თავშესაფარში შეიძლება იყოს - პატარა ბავშვები ან ორსული ქალები, შესაძლოა, არასაკმარისი აღმოჩნდეს. მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ ბენეფიციართა თავშესაფარში მოთავსების ხანგრძლივობას. შესაბამისად, უმჯობესია გადაიხედოს საკვები პროდუქტების სია და მასში სეზონური ბოსტნეულისა და ხილის, ასევე, თევზეულის დამატება მოხდეს. ჩამონათვალში არ მოხვდა ყოველდღიური მოხმარების სეზონური ბოსტნეული, რომელიც აუცილებელია ადამიანისთვის და ამავედროულად, ადვილად ხელმისაწვდომია საქართველოში. ხილის ჩამონათვალი კი, მხოლოდ ვაშლს, ბანანს, კივს და ფორთოხალს მოიცავს, რაც ძნელი წარმოსადგენია, თუ რამდენად ხარისხიანია ზაფხულის პერიოდში. აუცილებელია გათვალისწინებულ იქნას თავშესაფრის მაცხოვრებელთა ინტერესები და ჩამონათვალში ჯანსაღი და ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი პროდუქტები დაემატოს.

ჩვილებისთვის განკუთვნილი სპეციალური საკვების მოძიება ხდება სხვა დაწესებულებებიდან - ჩვილ ბავშვთა სახლებიდან, საჭიროების წარმოშობის შესაბამისად. ადმინისტრაცია თვლის, რომ ეს წესი გამართლებულია და არ წარმოშობს სირთულეებს.

სამედიცინო მომსახურება

ბენეფიციართა სამედიცინო შემოწმება ხდება დაწესებულებაში მიღების დროს და შემდგომ საჭიროებისამებრ.

მედიკამენტებით უზრუნველყოფის წესთან დაკავშირებით გვეცნობა, რომ ბენეფიციარის ამბულატორიული ან სტაციონარული ვიზიტის შემდეგ, ოჯახის ექიმის ან ექიმ-სპეციალისტის მიერ გაცემული ცნობის (ფორმა #100) საფუძველზე, დაწესებულების უფროსი ფონდის ცენტრალურ აპარატში აგზავნის წერილს მედიკამენტების საჭიროების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ დანიშნული მედიკამენტის მოძიება ვერ მოხერხდა სხვა სტრუქტურული/ტერიტორიული ერთეულების მედიკამენტების მარაგიდან, ან შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მედიკამენტებიდან, კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ხდება მისი შესყიდვა და დაწესებულებისათვის მიწოდება. თავშესაფარს ასევე ადგილზე აქვს გადაუდებელი დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტები.

ბავშვების ვაქცინაცია ხდება თავშესაფართან ახლომდებარე პოლიკლინიკაში, აღრიცხვის შემდეგ. თუმცა, რამდენჯერმე წარმოიშვა პრობლემა, როცა მშობელი არ იყო თანახმა, ბავშვი სხვა პოლიკლინიკაში გადაეყვანათ და სანამ მას აუხსნეს და განუმარტეს, რომ საბუთებს ისევ დააბრუნებდნენ საწყის პოლიკლინიკაში, აცრები დაგვიანდა.

პრობლემას წარმოადგენს თავშესაფარში გადამდები ინფექციური დაავადებების მქონე პირთა განთავსება. თავშესაფარების შინაგანაწესის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტის თანახმად, თავშესაფარში პირი არ მიიღება, იმ შემთხვევაში თუ: „უშუალოდ მისგან არსებობს პოტენციური რისკი სხვა ბენეფიციარებისათვის“. როგორც ბათუმის თავშესაფარის უფროსმა განგვიმარტა, მათ მხოლოდ ერთი სველი წერტილი აქვთ (საშხაპე), რის გამოც ვერ შეძლებენ ასეთ პირის სხვებისგან იზოლირებას და ინფექციის გავრცელების რისკი წარმოიშობა. ტრეფიკინგის მსხვერპლთა სპეციფიკის გათვალისწინებით, ისინი ინფექციური დაავადებების მაღალ რისკს განეკუთვნებიან. ასევე, მხედველობაშია მისაღები, რომ მსხვერპლთა ნაწილი არ არის საქართველოს მოქალაქე და მრავალი მათგანი თავშესაფარის გარეშეა დარჩენილი. შესაბამისად, ტრეფიკინგის მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ასეთი პრობლემის მქონე პირების მიღების პირობები.

ბავშვები

როგორც ზემოთ მოყვანილი ცხრილიდან ჩანს, თავშესაფარში განთავსებულ დამოკიდებულ პირთა რაოდენობა პირდაპირ ბენეფიციარზე გაცილებით მეტია. შესაბამისად, ნათელია, რომ ბავშვებისათვის გაწეული მომსახურების შეფასება მონიტორინგის პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა.

შინაგანაწესის თანახმად, თავშესაფარში გათვალისწინებულია ბავშვ(ებ)ის აღზრდისა და კვების სპეციფიკა და თავისებურებანი. თუმცა, ფონდის მიერ მოწოდებული საკვები პროდუქტების ჩამონათვალზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ბოსტნეული და

ხილის სახეობები ბავშვებისთვის არასაკმარისია. არ არის გათვალისწინებული სეზონური ხილი და ბოსტნეული, რომელთა მიღებაც მოზარდი ორგანიზმისთვის აუცილებელია.

ყურადღება ასევე გამახვილდა არასრულწლოვან ბენეფიციართათვის ფორმალური და არაფორმალური განათლების მიწოდების გზებზე. ბავშვები, ჩვეულებრივ, თავშესაფარში მოხვედრის შემდეგ, ირიცხებიან ადგილობრივ სკოლებში. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად, წარსულიდან გამომდინარე, მათ არ აქვთ მიღებული დაწყებითი განათლებაც კი, რაც თავისთავად ართულებს სასწავლო პროცესში ჩართვას. შესაბამისად, არსებული რესურსისა და ყოველდღიური გამოცდილების შედეგად, ფსიქოლოგის/სოციალური მუშაკისა და ზოგადად, თავშესაფრის პერსონალის ჩართულობით ხდება ბავშვების მეცადინეობა; მათ დამოკიდებულებებთან, ფასეულობებთან, უნარ-ჩვევების გამოვლენა-გამომუშავებასთან და ზოგადი ცოდნის გაღრმავებასთან მუშაობა. ზოგიერთ შემთხვევაში, საუბარია ელემენტარული, ყოფითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვების ჩარიცხვა ხდება დღის ცენტრებში, სადაც ასევე არის სხვადასხვა არაფორმალური განათლების მიღების შესაძლებლობა.

თავშესაფრის ადმინისტრაცია ყველა შესაძლო რესურსის გამოყენებით ცდილობს მიაწოდოს ბავშვებს განათლებისა თუ გასართობი ღონისძიებების სერვისები. თუმცა, გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ბავშვების ინტერესებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია გარკვეული თანხის გამოყოფა, რომელიც მათ გასართობ ღონისძიებებში ჩართვას მოხმარდება, რაც აუცილებელია ბავშვთა სრულყოფილი განვითარებისთვის.

დადგენილი წესების თანახმად, ბენეფიციარი პასუხისმგებელია საკუთარი ბავშვ(ებ)ის ზედამხედველობაზე დღე-ღამის განმავლობაში. თუმცა, პრაქტიკიდან გამომდინარე, ბევრ მათგანს ბავშვის მოვლა და ელემენტარული საჭიროებების დაკმაყოფილებაც კი არ ძალუძს. თავშესაფარში დასაქმებულ პირებს უწევთ ზედამხედველობის გაწევა, რომ ბავშვებს არ მოაკლდეთ საკვები და დაცული იყოს მათი ჰიგიენა. არსებული ვითარება წარმოშობს მშობლის უნარ-ჩვევების სწავლების შესაძლებლობის არსებობას, გარკვეული ტრენინგებისა თუ სემინარების სახით.

გადაუდებელ შემთხვევებში, თავშესაფრის ადმინისტრაცია ბენეფიციარის შვილს უწევს მეთვალყურეობას მშობლის არყოფნის პერიოდში, თუ ბენეფიციარისთვის აუცილებელი და მნიშვნელოვანი საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა მისი თავშესაფრიდან გასვლა და ბავშვის დროის გარკვეული მონაკვეთით უყურადღებოდ დატოვება. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით, ბენეფიციარმა წინასწარ უნდა აცნობოს ადმინისტრაციას. ასეთი შემთხვევების დროს, მედდა, რომელიც მორიგეობს თავშესაფარში, დღე-ღამის მანძილზე იღებს ბავშვების მოვლის პასუხისმგებლობას.

დასკვნა

თავშესაფრის ადმინისტრაცია ძალისხმევას არ იშურებს ბენეფიციართა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. თუმცა, ნათელია, რომ აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება, რომლებიც მათ გაძლიერებასა და სერვისის დახვეწას მოემსახურება. აუცილებელია მოხდეს პერსონალთა შორის პასუხისმგებლობისა და შესაბამისი ანაზღაურების სწორად გადანაწილება, საკვები პროდუქტებითა და მედიკამენტებით მომარაგების გაუმჯობესება და სარეაბილიტაციო ღონისძიებების დახვეწა.

რეკომენდაციები

- ▶ უზრუნველყოფილ იქნას თავშესაფრის სერვისის ხელმისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის;
- ▶ შემუშავდეს და დაინერგოს ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულების (თავშესაფრის) მომსახურების სტანდარტი, რომელიც უზრუნველყოფს თავშესაფრის ფუნქციონირების გამართვას;
- ▶ თბილისის ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა მომსახურების დაწესებულებას (თავშესაფარს) დაემატოს ფსიქოლოგის შტატი, რათა უზრუნველყოფილ იქნას ამავე დაწესებულების დებულებით განსაზღვრული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულება;
- ▶ გადაიხედოს მედიკამენტებით მომარაგების წესი და აღმოფხვრილ იქნას მომარაგების დროს წარმოქმნილი ხარვეზები;
- ▶ გადაიხედოს იმ კვების პროდუქტების ჩამონათვალი, რომელიც მიეწოდება ფონდის სტრუქტურულ ერთეულებს და მასში ჩაემატოს ხილისა და ბოსტნეულის სეზონური ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია როგორც უფროსებისთვის, ასევე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოზარდი ორგანიზმისთვის;
- ▶ განისაზღვროს ბავშვის მომვლელის/დამტოვებლის პოზიცია, რაც მშობლის ავადმყოფობის ან მისი სარეაბილიტაციო ღონისძიებებში ჩართვისას იქნება ხელმისაწვდომი;
- ▶ დაინერგოს გადამდები ინფექციური დაავადების მქონე პირთათვის სერვისის მიწოდება, ინდივიდუალური საცხოვრისისა თუ ცალკე თავშესაფრის მოწყობის გზით;
- ▶ მოწესრიგდეს თავშესაფრების ეზოები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს უსაფრთხოების სტანდარტების სრულ დაცვაზე;

